

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №1266

2005 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

### სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მოსამსახურეთათვის საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის, 52-ე მუხლის მე-7 ნაწილის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №918-სსმIII, №159, 30.12.2009წ.; მუხ.1982*

1. სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა მუშა-მოსამსახურეებთან ბიუჯეტით განსაზღვრული ხელფასებით და სხვა გასაცემლებით ანგარიშსწორებისთვის, აგრეთვე ნაღდი ფულის შეტანისა და გატანის ოპერაციების მიზნებისთვის, საბანკო დაწესებულებებში კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნან კორპორაციული მიმდინარე ანგარიში.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.*

2. ორგანიზაციის მიერ კორპორაციული მიმდინარე ანგარიშიდან გატანილი ნაღდი ფული ჩაბარდეს ორგანიზაციის სალაროში.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.*

3. კორპორაციული მიმდინარე ანგარიშიდან სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისა, ოპერაციების განხორციელება დაუშვებელია.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.*

4. (ამოღებულია - 07.09.2011, №472).

5. ბრძანება ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

#### ა. ალექსიშვილი

#### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №918-სსმIII, №159, 30.12.2009წ.; მუხ.1982

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.